ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის
ოქმი N7

22.11.2024 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა 14:30 სთ-ზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე-კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუხრან სალაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;
ციური ზაქარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
თეონა ჯინჭარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი;

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- მერაბ ნაკაშიძე

2 ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- მერაბ ნაკაშიძე

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (წერილის ნომერი: 12-95243201-95; 15.11.2024 წელი) და ძირითადად განიხილა აღნიშნულ ბიუჯეტში ასახული მუნიციპალიტეტში არსებულ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები.

კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი შემდეგი წინადადებები:

1. სოფელ ცხმორისში და სოფელ გეგელიძეებში ასფალტირებული გზის არსებულ არხებზე ცხადაურის გაკეთება;
2. სოფელ ცხმორისში საჯარო სკოლის ეზოში ბეტონის ან ასფალტის დაგება;
3. სოფელ კოკოტაურში არასრული სკოლის ეზოში ბეტონის ან ასფალტის დაგება;
4. ახოს №1საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
5. სოფელ გობრონეთში სასმელი წყლის რეაბილიტაცია;
6. სოფელ ახოში თამაზ ბოლქვაძის საცხოვრებელ სახლთან გზის საყრდენი კედლის ჩამოსხმა.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს სხვა შენიშვნები/წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე : 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტა:

1.კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის შესახებ წარმოდგენილი წინადადებები მოწონებული იქნეს.

2. კომისიის გადაწყვეტილება დასკვნის სახით ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის N6 დადგენილებით საკრებულოს კომისია ანგარიშვალდებულია წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია წარმოადგენს მუდმივ მოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადებისა და გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით. კომისია შედგება საკრებულოს 7 წევრისაგან.

კომისია საანგარიშო პერიოდში მუშაობას წარმართავდა სამუშაო გეგმის მიხედვით. უზრუნველყოფდა ამ პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან შემოსული რიგგარეშე საკითხების, სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას.

საკითხების ძირითადი ნაწილი ეხება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის და აუქციონის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ან საკუთრების და სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემას.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში მომზადებული და ჩატარებული იქნა კომისიის 6 სხდომა, რომელზეც განხილული და მხარდაჭერილი იქნა 12 საკითხი:

1.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2.ა(ა)იპ „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის

ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სთვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი"-სთვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სთვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9.„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სთვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10.ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ერთი ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-სთვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი.

12.ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

კომისია ადმინისტრირებას უწევს საბიუჯეტო შემოსავლების ისეთ დარგებს, როგორიცაა ქონების იჯარა, ქონების გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი და სხვა.უფლებამოსილების ფარგლებში იკვლევდა მოსახლეობის ინტერესებს, აწყობდა საჯარო განხილვებს.

კომისია კვლავ განაგრძობს აქტიურად მუშობას დებულების ყველა მუხლის შესაბამისად.

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში განხილული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 14:30 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის **თეონა ჯინჭარაძე**
დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი
საკრებულოს კომისიების საქმიანობის
ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით